აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 2

13 სექტემბერი 2011 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, 64-ე მუხლის მე-7 პუნქტის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 6 სექტემბრის №128 დადგენილების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ცნობილი იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის, გელა ცხომელიძის (პარტიულ სიაში №5) ადგილმონაცვლედ, ამავე პარტიის პარტიული სიით რიგით მომდევნო, უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი ნარგული ასანიძე (პარტიულ სიაში №13).

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია